

შპს სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა
ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა.....	3
შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“	3
დამოუკიდებელი აუდიტორი დასკვნა შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფას“	5
მოსაზრება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
კაპიტალის ცვლილების ანგარიში	11
ფულადი ნაკადების ანგარიში	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13
1.ზოგადი ინფორმაცია	13
2.მომზადების საფუძვლები	13
3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	14
4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	22
5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება.....	23
7. ფული და ფულის ექვივალენტები	25
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	25
9. მარაგები	26
10. წინასწარ გადახდილი ხარჯი.....	26
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
12. შემოსავალი	27
13. ადმინისტრაციული ხარჯები.....	27
14. სხვა შემოსავალი.....	28
15. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა.....	28
16 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	32
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	32

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება მე-6 დან მე-8 გვერდებზე არსებული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამორჩეულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ („ორგანიზაცია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ ორგანიზაცია გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2018 წლის 2 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

ალექსი ზანდარაშვილი

3 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

მანანა მენაბდიშვილი

3 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორი დასკვნა

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფას“

მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს **შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“** ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ **შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“** იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მოამზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარმართავდით აუდიტის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

მნიშვნელოვანი გარემოებების ამსახველი აზრები

საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ძირითადი დამკვეთია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2019 წლის ბოლომდე. შემდგომი ურთიერთობის განსაზღვრა ვერ ხდება. რის საფუძველზეც საზოგადოების უწყვეტ ფუნქციონირების დადგენა ვერ ხდება.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს **შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“** ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებათან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ

გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კონსტანტინე კიკნაძე

შპს „თიჯიეს-კვ ჯგუფის“ სახელით

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

4 სექტემბერი 2019 წ.

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	7	1,806,149	200,459
სავაჭრო მოთხოვნები	8	5,327,279	4,503,481
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	1,281,997	1,494,357
წინასწარ გადახდილი ხარჯები	10	419,950	218,667
ჯამურად მიმდინარე აქტივები		8,835,375	6,416,963
ფიქსირებული აქტივები	6	1,615,728	1,919,729
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		1,615,728	1,919,729
სულ აქტივები		10,451,103	8,336,692
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	11	3,135,697	1,600,383
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		3,135,697	1,600,383
სულ ვალდებულებები		3,135,697	1,600,383
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,293,304	1,293,304
გაუნაწილებელი მოგება		6,022,102	5,443,005
სულ კაპიტალი		7,315,405	6,736,309
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,451,102	8,336,692

დირექტორი

ალექსი ზანდარაშვილი

3 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

მანანა მენაბდიშვილი

3 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	31,705,348	28,302,507
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი			
სულ შემოსავალი		31,705,348	28,302,507
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		27,777,997	26,565,664
სულ თვითღირებულების ხარჯები		27,777,997	26,565,664
მთლიანი მოგება		3,927,351	1,736,842
საოპერაციო ხარჯები	13	2,700,136	2,860,195
ცვეთის ხარჯი		171,813	197,648
სულ საოპერაციო ხარჯები		2,871,949	3,057,843
არასაოპერაციო მოგება	14	1,825,342	746,081
არასაოპერაციო ზარალი		2,038	4,176
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		1,823,303	741,905
მოგება დაბერგვრამდე		2,878,706	579,097

დირექტორი

ალექსი ზანდარაშვილი

3 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

მანანა მენაბდიშვილი

3 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

კაპიტალის ცვლილების ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამურად
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,293,304	3,143,395	4,436,699
კაპიტალის ზრდა/შემცირება პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		2,878,706	2,878,706
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,293,304	6,022,102	7,315,405
კაპიტალის ზრდა/შემცირება პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	(579,097)	(579,097)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,293,304	5,443,005	6,736,309

დირექტორი

ალექსი ზანდარაშვილი

3 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

მანანა მენაბდიშვილი

3 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

ფულადი ნაკადების ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31.12.2017	31.12.2018
მოგება დაბეგრვამდე	2,879,120	579,097
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	171,813	197,648
მოგების გადასახადი	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	3,050,933	- 381,448
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	-	-
	4,038,506	823,798
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	-	-
	102,265	212,360
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	-	-
	171,903	201,284
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	2,443,695	-
		1,535,314
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	-	-
	258,048	-
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	923,906	- 2,729,484
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	-	-
	1,269,994	197,648
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	- 197,648
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა	-	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	- 346,088	- 2,927,132
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2,152,228	1,806,140
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,806,140	200,459

დირექტორი

ალექსი ზანდარაშვილი

3 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

მანანა მენაბდიშვილი

3 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

შპს სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“ (შემდგომში – „საზოგადოება“) დაფუძნდა 2014 წლის 14 ნოემბერს. საიდენტიფიკაციო კოდი: 404482537. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ჭანტურიას ქ., №12. ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თემქა ე-9 კვარტალი, ზღვის უბანი, 21-ე და 22-ე კორპუსების მიმდებარედ.

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ (შემდგომში – „საზოგადოება“) ძირითად საქმიანობად განისაზღვრა: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ კადეტების, სამხედრო მოსამსახურეთა და სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს–ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას გააჩნია მომსახურებისათვის გამიზნული აქტივები და ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე.

კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(დ) ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);

2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და

3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება ფასდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. კაპიტალიზდება მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლის ხარჯები, ხოლო გამოცვლილი ნაწილის ღირებულებები ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. წინა პერიოდებში ძირითადი საშუალებების გაუფასურებით მიღებული ზარალი გადაიხედება თუ შეიცვლა ვარაუდები, რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითადი საშუალებების გამოყენებადი ღირებულების ან რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულების განსასაზღვრად.

გაყიდვით გამოწვეული მოგება და დანაკარგი, რომლებიც განისაზღვრება საბალანსო ღირებულების სანაცვლო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა გამოითვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთების გამოყენებით, ხარჯის განაწილებით სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში.

ჯგუფი	%
შენობები	5
სატრანსპორტო საშუალებები	20
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	20

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე .

კაპიტალი & დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. შესამოწმებელ და შესადარებელ პერიოდში დივიდენდის გაცემა არ განხორციელებულა.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში და იგი ძირითადად დამოკიდებულია გაცემული დივიდენდის ოდენობაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა).

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა ასახულია საოპერაციო შემოსავლებში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საოპერაციო იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

იჯარის ვადა არის მოიჯარის მიერ იჯარით აღებული აქტივით სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის მონაკვეთი, რომელიც არ ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას, იმ დამატებითი დროის მონაკვეთთან ერთად, რომლის განმავლობაში მოიჯარეს, ხელშეკრულების თანახმად უფლება აქვს გააგრძელოს აქტივის გამოყენება გარკვეული დამატებითი თანხის გადახდის ან გადაუხდელობის პირობით.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“).

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2017 -2018 წლის 31 არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

			<i>აშშ</i>	
			<i>დოლარი</i>	<i>ევრო</i>
გაცვლითი კურსი	2018	წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
გაცვლითი კურსი	2017	წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

საანარიცხო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და

– პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:

- შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
- მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურსარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელა ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია :

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება

კომპანია ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ების მოთხოვნების შესაბამისად.

მე-3 შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებულ იქნა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად, ასევე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესადარისი ფინანსური ინფორმაციისთვის.

შენიშვნა 6 - ფიქსირებული
აქტივები

	მიწა	შენობა ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სხვა აქტივი	სულ
საწყისი ღირებულება								
ბალანსი 31/12/2016	822,973	384,308	237	504,252	325,728	212	120	2,037,711
დანამატები		430,188		71,461				501,649
აქტივების ჩამოწერა								-
ბალანსი 31/12/2017	822,973	814,496	237	575,713	325,728	212	120	2,539,480
აკუმულირებული ცვეთა								
ბალანსი 31/12/2016	-	14,187	105	238,076	169,675	58	-	422,100
ცვეთა პერიოდისათვის		-	-		-			-
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა		27,830	47	104,583	65,145	42		197,648
ბალანსი 31/12/2017	-	42,017	152	342,659	234,820	100	-	619,749
წმინდა ღირებულება								
ბალანსი 31/12/2016	822,973	814,496	237	575,713	325,728	212	120	2,539,480
ბალანსი 31/12/2017	822,973	772,479	85	233,054	90,908	112	120	1,919,731

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2017-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
ლარები საბანკო ანგარიშებზე	1,792,108	174,157
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	1,792,108	174,157
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	14,041	26,302
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	1,806,149	200,459

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ერიცხება 2 470 416 ლარი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, რომელს დაფარვაც ხორციელდება შემგომ თვეებში 2019 წლის იანვრ-თებერვალში. ასევე 2017 წლიდან ერიცხება მოთხოვნა 626 437 აშშ დოლარი კონტრაქტის N W 564KW-17-P-0116 საფუძველზე, რომლის ანგარიშწორებაც განხორციელდა 2019 წელს აუდიტის მსვლელობის პერიოდში. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

	31.12.2017	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5,325,441	4,502,406
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	30	30
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,008	1,945
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	800.00	(900)
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები	5,327,279	4,503,481

მინუს: გაუფასურების რეზერვი

წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,327,279	4,503,481
--	------------------	------------------

9. მარაგები

მარაგები 2017-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

	31.12.2017	31.12.2018
საქონელი	130,083	144,706
ნედლეული და მასალები	968,244	1,157,437
შუალედური ანგარიში	43	43
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	183,628	192,171
ჯამურად სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,281,997	1,494,357

10. წინასწარ გადახდილი ხარჯი

წინასწარ გადახდილი ხარჯი 2017-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
მოგების გადასახადი	93,269	79,628
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	326,681	139,039
დღგ		
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები	419,950	218,667

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	768,363	1,517,276

მიღებული ავანსები	2,269,565	(616)
გადასახდელი ხელფასები	97,769	83,723
სულ კრედიტორული დავალიანება	3,135,697	1,600,383

12. შემოსავალი

შემოსავალი 2017-2018 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
შემოსავალი კვებითი მომსახურებიდან	30,766,053	26,746,567.99
შემოსავალი კომერციული მაღაზიებიდან	934,049	534,782.18
სხვა შემოსავალი	5,246	1,021,156.35
სულ შემოსავალი	31,705,348	28,302,507

13. ადმინისტრაციული ხარჯები

პირდაპირი ხარჯები 2015-2016-2017 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2018
შრომის ანაზღაურება	1,769,809	1,856,266
ბანკის მომსახურება	22,126	15,135
მივლინების ხარჯი	19,218	11,261
მომსახურების ხარჯი	101,236	92,413
ავტო მანქანების ექსპლუატაციის ხარჯი	82,340	78,922
საიჯარო ქირა	196,029	189,919
კომუნიკაციის ხარჯები	79,601	84,401
დაზღვევა	12,317	12,801
რემონტი	11,112	12,650
საკონსულტაციო აუდიტორული მომსახურება	17,695	15,166
სახელმწიფო ხაზინა	6,175	2,325
საკანცელარიო ხარჯი	9,675	24,602
საწვავის ხარჯი	301,162	395,246
სხვა საერთო ხარჯი	39,020	34,384
ქონების გადასახადი	8,056	10,857
საგადასახადო მიზნებისთვის დარიცხული მოგების გადასახადი	24,564	23,848

სულ პირდაპირი ხარჯები	2,700,136	2,860,195
-----------------------	-----------	-----------

14. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალს ძირითადად წარმოქმნის საპროცენტო შემოსავალი და საკვები ნარჩენების რეალიზაცია.

	31.12.2017	31.12.2018
საპროცენტო შემოსავალი	275,368	218,475
საკვები ნარჩენების რეალიზაცია	348,681	67,712.91
ქონების უსასყიდლო გადმოცემით მიღებული შემოსავალი	1,201,293	
სხვა არასაოპერაციო		459,892
სულ შემოსავალი	1,825,342	746,080

15. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები	12/31/2017	12/31/2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,327,279	4,503,481
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,806,149	200,459
სულ ფინანსური აქტივები	7.133.428	4.703.940

ფინანსური ვალდებულებები	12/31/2017	12/31/2018
სესხები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,135,697	1,600,383
სულ ფინანსური ვალდებულებები	3.135.697	1.600.383

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საკრედიტო რისკი		
ფინანსური აქტივები	12/31/2017	12/31/2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,327,279	4,503,481
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,806,149	200,459
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	7.133.428	4.703.940

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიზმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან. სავალუტო რისკის კომპანიაზე არ მოახდენს გავლენას ვინაიდან არ ხორციელდება სავალუტო ოპერაციები.

16 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

- (ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და

ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს არ განხორციელებულა ოპერაციები. ხელმძღვანელის საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენს 6250 ლარს.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 2 სექტემბერს.



მმართველობითი ანგარიში

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“ (შემდგომში - „კომპანია“) წარმოადგენს კომპანიას, რომლის 100% წილს ფლობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - „სამინისტრო“).

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული საიდუმლო ხელშეკრულების ფარგლებში სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფა. ასევე, საერთაშორისო სწავლებებში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

კომპანია სამხედრო მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განთავსებულ სამხედრო ნაწილებსა და ბაზებზე.

კომპანიასა და სამინისტროს შორის მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულება ფორმდება ერთი წლის ვადით.

კომპანია კვებითი უზრუნველყოფისთვის დაქირავებული ყავს შესაბამისი სპეციალტები, რომელთა რიცხვიც საერთო ჯამში აჭარბებს 1000 ადამიანს. ასევე, კომპანია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოფს კვებითი მომსახურებისთვის საჭირო პროდუქტების, ინვენტარის და სხვა შესყიდვებს.

კომპანიის შემოსავლები იყოფა შემდეგ წყაროებად:

1. სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი;
2. სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი;

3. ამერიკელი და სხვა ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი;
4. კომერციული მაღაზიებიდან მიღებული შემოსავალი;
5. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (სარგებელი ბანკში და სხვა);

კომპანიის მთლიანი შემოსავლის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალი (საშუალოდ 86.20%); სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალი შეადგეს კომპანიის მთლიანი შემოსავლის საშუალოდ 7.80%.

2018 წლის იანვრის ფინანსური შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ კომპანიას მთავარი საოპერაციო საქმიანობიდან წარმოექმნა ზარალი.
კერძოდ:

სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს, რომელიც კომპანიის მთლიანი შემოსავლის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს (საშუალოდ 86.2%), გადაჭარბა ამ შემოსავლის მისაღებად გაწეულმა დანახარჯებმა და ასევე, სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს (კომპანიის მთლიანი შემოსავლის საშუალოდ 7.80%), გადაჭარბა ამ შემოსავლის მისაღებად გაწეულმა დანახარჯებმა.

აღნიშნული პრობლემის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის რომ, კომპანიას გაუძვირდა მომსახურების თვითღირებულების მთავარი კომპონენტი, ძირითადი მასალების დანახარჯები. კერძოდ, ერთის მხრივ 2015 წლიდან მოყოლებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან დადებული სახელშეკრულებო ფასი არ შეცვლილა, ხოლო მეორეს მხრივ, ნედლეულის (პროდუქციის) ფასების ზრდა. შესაბამისად კომპანიას უწევდა უფრო მეტი დანახარჯების გაწევა რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურად აისახა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა 2019 წლისთვის მომსახურების ფასის ზრდა.

2018 საანგარიშო წელს მიღებული შემოსავალი შეადგენს 29 047 314.67 ლარს, ხოლო 2019 წელს მოსალოდნელი შემოსავალი შეადგენს - სავარაუდოდ 28 600 000 ლარს;

კომპანიისთვის მნიშვნელოვანია ხარჯების ეფექტური მართვა, კერძოდ გარკვეული პერიოდულობით ხდება :

1. დანახარჯების ანალიზი, თვითღირებულების კომპონენტების ოპტიმიზაცია,
2. მარაგების ნაშთის კონტროლი შერჩევითი ინვენტარიზაციის საშუალებით
3. ყოველთვიური ფინანსური ანგარიშგების წარმოება.

4. ფულადი ნაკადების ანალიზი, დაგეგმვა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული კომპანიის ძირითადი შემოსავალი დამოკიდებულია თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ შეკვეთის მოცულობასთან, ამ მხრივ შემოსავალის ზრდაზე კომპანიის გავლენა მინიმალურია, რაც ბუნდოვანს ხდის გრძელვადიან ჭრილში კომპანიის შემოსავლების და მოგების მაჩვენებლის პროგნოზს.

კომპანია შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან:

1. კვების ორგანიზების და ტექნოლოგიის დეპარტამენტი;
2. ლოჯისტიკის დეპარტამენტი;
3. ფინანსური აღრიცხვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი;
4. ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
5. ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტი;
6. ზედამხედველობის სამსახური;
7. ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფი;

კვების ორგანიზების და ტექნოლოგიის დეპარტამენტის მიზანია ორგანიზება გაუწიოს კვების ობიექტების ეფექტურ ფუნქციონირებას და უზრუნველყოს მაღალი ხარისხის კვებითი მომსახურება მომხმარებლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით; მის მოვალეობებში შედის - კვების ობიექტების სამუშაო პროცესების ეფექტური მართვა, მენიუს და კალკულაციის შედგენა, მზარეულის გზამკვლევის შედგენა, კვების ობიექტებზე სასწავლო პროცესის ორგანიზება, საკონტროლო-საჩვენებელი ხარშების ჩატარება, კვების ობიექტებზე კერძების მომზადების წესების დაცვის კონტროლი, ხარჯების ყოველდღიური ანალიზი, ულუფების დაგეგმარების კონტროლი, საკვები პროდუქტებისა და ქიმიური საშუალებების ტექნიკური სპეციფიკაციების შემუშავება და საჭირო რაოდენობების გათვლა, საკვები პროდუქტების ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების და მზა კერძების საგემოვნო თვისებების ხარისხის კონტროლის ორგანიზება.

ლოჯისტიკის დეპარტამენტის მოიცავს შემდეგ სამსახურებს: 1. მომარაგების სამსახური; 2. კომერციული სამსახური; 3. ავტოპარკი; 4. ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური; 5. საწყობები და მისი საქმიანობა წარმოადგენს შემდეგს:

- სამხედრო ნაწილებსა და ბაზებზე სასადილოს მომარაგება სურსათითა და ქიმიური საშუალებებით.
- ყოველდღიურ რეჟიმში შეკვეთების მიღება, ანალიზი, დამუშავება, მომწოდებელთან გადაგზავნა.

- პროდუქციის მომარაგების ოპტიმალური გრაფიკის დაგეგმარება.
- მოწოდებული პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (სერთიფიკატი, შესაბამისობის დეკლარაცია, ლაბორატორიული კვლევა და ა.შ.) ბაზის შექმნა და კონტროლი.
- სასაწყობე მეურნეობების კონტროლი, ადგილზე გასვლა და მონიტორინგი;
- კომერციული ობიექტების მართვა/კონტროლი;
- თავდაცვის სამინისტროს კომერციული სასაბაზო მენიუს განსაზღვრა და განფასება
- ავტოპარკის ზედამხედველობა/კონტროლი;
- ავტომანქანების მოვლის/ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის ტექნიკოსების უფლება-მოვალეობებში შედის საქართველოში არსებული სამხედრო ნაწილების სასაბაზოებში და სასაბაზოების საწყობებში არსებული ელექტრო, ელექტრო-მექანიკური და მექანიკური დანადგარების, ასევე კონტეინერ-მაცივრების, ოთახ-მაცივრების, კარადა მაცივრების და მაცივარ-რეფერეჟერატორების შეკეთება და მოვლა.
- აღმოსავლეთ და დასავლეთ საწყობის უფლება მოვალეობა ითვალისწინებს ობიექტების, (სამხედრო ბაზაზე არსებული სასაბაზოების, ასევე კომერციული სასაბაზოების და კომერციული მაღაზიების) მომარაგებას, როგორც პროდუქტით ასევე ქიმიური საშუალებებით.

ფინანსური აღრიცხვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი მოიცავს შემდეგ სამსახურებს: ბუღალტერიას, აღრიცხვის ჯგუფს და შესყიდვების ჯგუფს, დეპარტამენტის მიზანია შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ ფინანსებისა და შესყიდვების საქმიანობის ეფექტური მართვა და კომპანიის სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, რაც მაქსიმალურად ეფექტურს გახდის კომპანიის კომერციულ საქმიანობას.

დეპარტამენტი უზრუნველყოფს ბუღალტრული დოკუმენტების ყოველდღიური აღრიცხვას და კონტროლს; განსაზღვრული პერიოდულობით კომპანიის ფინანსური უწყისების მომზადებას, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების შედგენას და ანგარიშგებას; უზრუნველყოფს ხელშეკრულებების პირობების გათვალისწინებით, კრედიტორებთან ანგარიშსწორებას, ახორციელებს საბანკო ანგარიშებსა და სალაროზე კონტროლს; უზრუნველყოფს კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა ძირითადი საშუალების, ასევე სხვა მატერიალური ფასეულობებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვას; ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, აღრიცხვას;

შესყიდვების ჯგუფის მიერ განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების მოსამზადებელი სამუშაოები, უშუალოდ შესყიდვის პროცედურებისა და პროცესების ორგანიზება-კოორდინაცია, წარმართვა და შესყიდვებისათვის საჭირო დოკუმენტების პროექტების მომზადება, შესყიდვების ჯგუფის მიერ შესყიდული საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის მიზნით, მიმწოდებლებს ეგზავნება მოთხოვნა მოწოდებულ პროდუქტებზე

ლაბორატორიული კვლევების ჩატარებაზე და შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის და წესების დაცვით ხდება პროდუქტების შემოწმება აკრედიტებული ლაბორატორიების მიერ.

შესყიდვების ჯგუფის მიერ 2018 წელს ჩატარდა ტენდერი აუდიტორული მომსახურების შესყიდვის მიზნით, რომელიც მიზნად ისახავდა შემდეგს: კომპანიის 2016-2017 წლების ფინანსურ აუდიტს (ფინანსური აუდიტი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად. წლიურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის IFRS (საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად) ან/და IFRS-for-SMEs (მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად) სტანდარტების შესაბამისად, საქმიანობის მიმოხილვის აუდიტი. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნებისა და ამ სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. რაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეცნობა წერილობით.

2018 წლის განმავლობაში (2018 წლის ბიუჯეტით) გაფორმებულია 281 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 34255988.33 ლარი. მათ შორის ტენდერის მეშვეობით განხორციელდა 79 ხელშეკრულების გაფორმება, ღირებულებით 30173807.25 ლარი.

ადმინისტრაციული დეპარტამენტის ძირითადი მიზანია კომპანიის ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტურად წარმართვა, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის ადმინისტრაციული საქმიანობის უზრუნველყოფა, კერძოდ: კომპანიის სამართლებრივი მხარდაჭერა, კომპანიის ძირითადი საქმიანობის მარეგულირებელ კანონქვემდებარე აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა, მისი ინტერესების წარმომადგენლობა სასამართლო ინსტანციებსა და სხვა ორგანიზაციებში; საჭირო პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე პერსონალით დაკომპლექტება და კომპანიის სამუშაო მოთხოვნების შესაბამისად, ადამიანური რესურსების მაქსიმალურად და ეფექტურად გამოყენება.

დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის” შინაგანაწესისა და დებულების საფუძველზე;

ხარისხის მართვის და მონიტორინგის დეპარტამენტის მიზანია აამაღლოს კვების ობიექტებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაცია, აწარმოოს სწორი პროცესების დანერგვა კვების ობიექტებზე და მისი შესრულების მონიტორინგი, რაც ხელს შეუწყობს ეფექტურ მართვას, ხარისხიან კვებით უზრუნველყოფას, მომხმარებლის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და მათი ინტერესების სრულ დაცვას.

კომპანია ორიენტირებულია სამხედრო მომსახურეთათვის გაწეული კვებითი მომსახურება იყოს მაღალი ხარისხის, აკმაყოფილებდეს როგორც აღნიშნულ სფეროში ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას ასევე საერთაშორისო სტანდარტებს, აღნიშნულიდან გამომდინარე,

კომპანია გეგმავს გაიაროს სერტიფიცირება და ISO საერთაშორისო სტანდარტის სერტიფიკატი.

ზედამხედველობის სამსახურის ძირითად მიზანს წარმოადგენს კომპანიის ქონების დაცვა, შენობა-ნაგებობების დალაგება და დასუფთავება, როგორც დაწესებულების შიგნით ისე გარე პერიმეტრზე.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფის მიზანია კომპანიაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება, პროგრამული უზრუნველყოფის მართვა, მონაცემთა ბაზების, ქსელების, საკომუნიკაციო სისტემებისა და ვებ-სისტემების დაცვა და უსაფრთხოება.

ჩვენ საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად რისკს წარმოადგენს ის, რომ ჩვენი ძირითადი დამკვეთია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2019 წლის ბოლომდე. შემდგომი ურთიერთობის განსაზღვრა ვერ ხდება. რის საფუძველზეც საზოგადოების უწყვეტ ფუნქციონირების დადგენა ვერ ხდება.

შპს „საქართველოს კვებითი უზრუნველყოფის“

დირექტორი

ალექსი ზანდარაშვილი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება მე-6 დან მე-8 გვერდებზე არსებული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამორჩეულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ („ორგანიზაცია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ ორგანიზაცია გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2018 წლის 2 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი *მ.წ. თუ გოგუა*
 ალექსი ზანდარაშვილი
 3 სექტემბერი 2019
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
 მანანა მენაბდიშვილი *მ. მენაბდიშვილი*
 3 სექტემბერი 2019
 თბილისი, საქართველო

მნიშვნელოვანი გარემოებების ამსახველი აზრები

საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ძირითადი დამკვეთია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2019 წლის ბოლომდე. შემდგომი ურთიერთობის განსაზღვრა ვერ ხდება. რის საფუძველზეც საზოგადოების უწყვეტ ფუნქციონირების დადგენა ვერ ხდება.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებათან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კონსტანტინე კიკნაძე

შპს „თიჯიეს-კვ ჯგუფის“ სახელით

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

3 სექტემბერი 2019 წ.



შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	7	1,806,149	200,459
სავაჭრო მოთხოვნები	8	5,327,279	4,503,481
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	1,281,997	1,494,357
წინასწარ გადახდილი ხარჯები	10	419,950	218,667
ჯამურად მიმდინარე აქტივები		8,835,375	6,416,963
ფიქსირებული აქტივები	6	1,615,728	1,919,729
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		1,615,728	1,919,729
სულ აქტივები		10,451,103	8,336,692
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	11	3,135,697	1,600,383
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		3,135,697	1,600,383
სულ ვალდებულებები		3,135,697	1,600,383
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,293,304	1,293,304
გაუნაწილებელი მოგება		6,022,102	5,443,005
სულ კაპიტალი		7,315,405	6,736,309
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,451,102	8,336,692


 დირექტორი **მ. გ. გოგუა**
 ალექსი ზანდარაშვილი
 3 სექტემბერი 2019
 თბილისი, საქართველო


 მთავარი ბუღალტერი
 მანანა მენაბდიშვილი
 3 სექტემბერი 2019
 თბილისი, საქართველო


შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“


სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	31,705,348	28,302,507
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი			
სულ შემოსავალი		31,705,348	28,302,507
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		27,777,997	26,565,664
სულ თვითღირებულების ხარჯები		27,777,997	26,565,664
მთლიანი მოგება		3,927,351	1,736,842
საოპერაციო ხარჯები	13	2,700,136	2,860,195
ცვეთის ხარჯი		171,813	197,648
სულ საოპერაციო ხარჯები		2,871,949	3,057,843
არასაოპერაციო მოგება	14	1,825,342	746,081
არასაოპერაციო ზარალი		2,038	4,176
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		1,823,303	741,905
მოგება დაბერგვრამდე		2,878,706	579,097


დირექტორი *მ.წ. ლაშვილი*
ალექსი ზანდარაშვილი
3 სექტემბერი 2019
თბილისი, საქართველო


მთავარი ბუღალტერი
მანანა მენაბდიშვილი
3 სექტემბერი 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
მანანა მენაბდიშვილი
3 სექტემბერი 2019
თბილისი, საქართველო


შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“


ფულადი ნაკადების ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31.12.2017	31.12.2018
მოგება დაბეგრვამდე	2,879,120	579,097
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	171,813	197,648
მოგების გადასახადი	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	3,050,933	-
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	4,038,506	823,798
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	102,265	212,360
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	171,903	201,284
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	2,443,695	1,535,314
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	258,048	-
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	923,906	2,729,484
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	1,269,994	197,648
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	1,269,994	197,648
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა	-	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	346,088	2,927,132
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2,152,228	1,806,140
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,806,140	200,459


 დირექტორი **მ. გ. გოგუა**
 ალექსი ზანდარაშვილი
 3 სექტემბერი 2019
 თბილისი, საქართველო


 მთავარი ბუღალტერი
 მანანა მენაბდიშვილი
 3 სექტემბერი 2019
 თბილისი, საქართველო

ლაბორატორიული კვლევების ჩატარებაზე და შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის და წესების დაცვით ხდება პროდუქტების შემოწმება აკრედიტებული ლაბორატორიების მიერ.

შესყიდვების ჯგუფის მიერ 2018 წელს ჩატარდა ტენდერი აუდიტორული მომსახურების შესყიდვის მიზნით, რომელიც მიზნად ისახავდა შემდეგს: კომპანიის 2016-2017 წლების ფინანსურ აუდიტს (ფინანსური აუდიტი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად. წლიურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის IFRS (საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად) ან/და IFRS-for-SMEs (მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად) სტანდარტების შესაბამისად, საქმიანობის მიმოხილვის აუდიტი. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნებისა და ამ სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. რაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეცნობა წერილობით.

2018 წლის განმავლობაში (2018 წლის ბიუჯეტით) გაფორმებულია 281 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 34255988.33 ლარი. მათ შორის ტენდერის მეშვეობით განხორციელდა 79 ხელშეკრულების გაფორმება ღირებულებით 30173807.25 ლარი.

ადმინისტრაციული დეპარტამენტის ძირითადი მიზანია კომპანიის ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტურად წარმართვა, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის ადმინისტრაციული საქმიანობის უზრუნველყოფა, კერძოდ: კომპანიის სამართლებრივი მხარდაჭერა, კომპანიის ძირითადი საქმიანობის მარეგულირებელ კანონქვემდებარე აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა, მისი ინტერესების წარმომადგენლობა სასამართლო ინსტანციებსა და სხვა ორგანიზაციებში; საჭირო პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე პერსონალით დაკომპლექტება და კომპანიის სამუშაო მოთხოვნების შესაბამისად, ადამიანური რესურსების მაქსიმალურად და ეფექტურად გამოყენება.

დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ შინაგანაწესისა და დებულების საფუძველზე;

ხარისხის მართვის და მონიტორინგის დეპარტამენტის მიზანია აამაღლოს კვების ობიექტებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაცია, აწარმოოს სწორი პროცესების დანერგვა კვების ობიექტებზე და მისი შესრულების მონიტორინგი, რაც ხელს შეუწყობს ეფექტურ მართვას, ხარისხიან კვებით უზრუნველყოფას, მომხმარებლის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და მათი ინტერესების სრულ დაცვას.

კომპანია ორიენტირებულია სამხედრო მომსახურეთათვის გაწეული კვებითი მომსახურება იყოს მაღალი ხარისხის, აკმაყოფილებდეს როგორც აღნიშნულ სფეროში ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას ასევე საერთაშორისო სტანდარტებს, აღნიშნულიდან გამომდინარე,

კომპანია გეგმავს გაიაროს სერტიფიცირება და ISO საერთაშორისო სტანდარტის სერტიფიკატი.

ზედამხედველობის სამსახურის ძირითად მიზანს წარმოადგენს კომპანიის ქონების დაცვა, შენობა-ნაგებობების დალაგება და დასუფთავება, როგორც დაწესებულების შიგნით ისე გარე პერიმეტრზე.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფის მიზანია კომპანიაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება, პროგრამული უზრუნველყოფის მართვა, მონაცემთა ბაზების, ქსელების, საკომუნიკაციო სისტემებისა და ვებ-სისტემების დაცვა და უსაფრთხოება.

ჩვენ საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად რისკს წარმოადგენს ის, რომ ჩვენი ძირითადი დამკვეთია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2019 წლის ბოლომდე. შემდგომი ურთიერთობის განსაზღვრა ვერ ხდება. რის საფუძველზეც საზოგადოების უწყვეტ ფუნქციონირების დადგენა ვერ ხდება.

დირექტორი



ალექსი ზანდარაშვილი